

ქართული მუსტერი

№27 (291) 8 – 14 ივნისი 2015 წ.

„შენ – უკეთავების ჩამონადენი, მშენებელის ცხომ შენით ითქვა: დაუტა შენდა, ჩემი ნათელო – ქართული სიტყვა ვ, ქართული სიტყვა ვ“



» გვ-2-3-4 გვ.

როგორ
აღმოჩნდა
ქართული ფული
სერჩეთსა და
იორდანიაში –
იარაღის უპანონ
გიზენსის ახალი
დეტალები

„სეიჭელის კუნძულებზე სერგული ფილა „მელვინ კორაორეიშენის“ დაფუძნებული, რაც იგაზე მიანიშნებს საძარი იარაღის უპანონ ვაჟორების ია სეიჭელეს გვავას, როგორც საძართველოს წინა ხელისუფლება ანერციელებდა. სხვათა შორის, „კოლტრეისინგის“, „უპრსაეპსარო-ტისა“ და „მელვინ კორაორეიშენის“ ოფისები ერთავათისგან ცულ ას-ასი მატრიტაა დამორჩაგული... ამ შემთხვევაში, უგრალოდ, მოქმედი პირია შეცვლილი, ანუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან ფული „მელვინ კორაორეიშენი“ მიღიოდა... დოკუმენტი 2008 წლის აგვისტოს ომისამართვის პაროლში, პარო ანალიზის მინისტრობის დროსაა ხელმოწერილი. ყოველ შემთხვევაში, ის დოკუმენტი, რომელიც მოვიპოვა, პარო ანალიზის მინისტრობის დროსაა გაცემული“.

„ივანიშვილს უთქვას, შენზეც და ირაკლიზეც ჩამოთან უამრავი ამგავი მოაქვთო...“



» გვ-8-9 გვ.

ალექსი პატრიარქი: „ალასანია სამიზნები იმითო ჰყავთ, რომ ქლიარი და და-ორუადებელი პოლიტიკური ფიგურა... ყველა გამოკითხვაში, 2011 წლიდან მოყოლე-გული, ირაკლი ალასანიას რეიტინგი ქალიან გაღალია და მუდმივად სამაულებია.“

13 ივნისს დაზარალი ულებე
სახელმწიფო
საყოფაცხოვრის ნივთების
საფასურსაც აუცილებელი



» გვ-12 გვ.

დახმარების უპრეცედენტო პაკეტი

„სააკაზვილი და აღიმშვილი
ლიკვიდირებული იქნებიან!“



» გვ-10 გვ.

„გვცო სარპიანის საქმეში ვიღაც
ისეთი ურევია...“ – მეზარ კვიპიანის
სკანდალური განცხადება

დავით თევზაბე და მარუტა
არეშიძე პარტიას ძმინა?



» გვ-11 გვ.

„ქვეყნის სამარცხვინო
კანონი ნაჩარივად დაამტკიცეთ“



» გვ-13 გვ.

„პატონი პრეზიდენტო, დაადეთ
ვაჟო!“ – პროფესიულ განათლების
პროფესიონალი გიორგი
მარგველაშვილს მიმართავონ

„ყოველად პატიოსანი გვამი“
მიმტკიცებდა, რომ ამ პოლიტიკის
აცლადშემანილ კიონს მუხლები
გამოივინდა!“

» გვ-14 გვ.

კინოკოსტიუმების უნიკალური
კოლექცია განადგურების პირსაა

„ଶ୍ରେଣ୍ଠ-ୟୁଦ୍ଧବ୍ୟାପୀଳିନୀ କାମିକାନ୍ତାଙ୍କେ, ମହାବ୍ୟନୀର୍ଯ୍ୟବାଚ କୋଣ ଶୈନିତ ତକ୍ଷେତ୍ର; ଅନ୍ତରେକୁ ଶେନ୍ଦ୍ରା, କୃତ୍ତିମ ନାତ୍ତେଲ୍ଲା- କୁରାତ୍ତୁଲ୍ଲା ସିତ୍ତ୍ୟବାଚ, କୁରାତ୍ତୁଲ୍ଲା ସିତ୍ତ୍ୟବାଚ“

জনসংস্কৃতি

30001



მეგადური და ოპროს თევზი

ალექსანდრე პუგპინი

A black and white portrait of Nikolai Gogol, a Russian writer. He is shown from the waist up, wearing a dark coat over a white cravat and a patterned scarf. He has dark, wavy hair and is looking slightly to his right with a thoughtful expression.

უთხრა თევზმა მებადურსა, —
მაგაშიაც შეგენევი,
მე გაგინევ სამსახურსა...
გასწი შენთვის შენს გზაზედა,
შეგისრულებ რაცა გსურსა...”
ბერიკაცა თევზს მაღლი უხდის,
გაოცებით უგდებს ყურსა...
შინ მობრუნდა მებადური,
გადირია თქვენი მტერი!..
პალატს ჰედავს უზარმაზარს,
იყურება როგორც შტერი...
წინ ჩარდახი — მოაჯრითა...
წამომდგარა დედაბერი,
გადაუცვამს ატლას-ბაბთი და
ქათიბი ვარდისფერო,
ყელს უშვენებ იქროს ძენ კვი
და ყურებსა — წყვილი ლალი,
აჩინჩელილა ბეჭდებითა,
ყველაში ზის უცხო თვალი,
უბარტყუჩებს მოახლებს,
დააგლიჯა ზოგს დალალი...
მებადური წინ წამოდგა
და დედაბერს გაეცუმრა:
„ადლეგრძელოს ქალბატონი!..
ხომ შესრულდა, რაც ისურვა?..“
დედაბერმა ეს ინყინა,
ქმარი ცოლმა არ ისტუმრა,
და ცხენების მოსავლელად
საჯინიბოს გაისტელა!..
გაიარა ორმა კვირამ,
ქალი უფრო შეიშალა,
გაკაპასდა, თავის დღეში
ასე ფიცხად არ გამწყრალა.
შეუყვირა თავის ქმარსა
რაოდენიც ჸქონდა ძალა!..
აზნაურად თავის ყოფნა
აღარა სურს, — დაამწყრალა:
„გასწი ენლავ იქროს თევზთან! —
შეუძახს მებადურსა, —
მოახსენე, აზნაურად
სწორედ ყოფნა აღარ მსურსა,
დედოფლობა მივინდომე,
თუკი ჩემთვის არა ჰმურსა;
ამითა ვცდი იმის აღთქმას,
დავუფასებ სამსახურსა...“
შეკრთა ჩვენი მებადური,
შეუძახს თავის ცოლსა:
„რამ შეგშალა, დედაკაცო,
ვისა ჰედავ შენს ამყოლსა!..
მიხრა-მოხრა შეკა იცი,
თავს გაიხსნა ჩასახლოსა,
ვისთან მგზავნი, რაებს უფლი,
ვისა ჰედავ შენსა ტოლსა!..“
გადირია დედაბერი,
ქმარს ჰკრა სილა უცნაური,
შეუყვირა: „რეგვენი ხარ,
ბრიყვი, ვორა, უთაური,
გლეხი ხარ და გლეხის შვილი
და ჯორივით უზნაური!..
ვის უბედავ უარის თქმას...
ხომ იცი ვარ აზნაური...
გასწი, თორებ წაგათრევენ,
გასწი ენლა ზღვისაკენა...“
გამოსწი მებადურმა,
შიშით არც კი შეისვენა:
ზღვა აღელდა, გადაშავდა,
თევზმა თავი მოაჩვენა,
შემოსძახა: „ბერო ვაცო!
ხომ არ გიჭირს რამე შენა?..“
მებადური უკრავს თავსა,
მოახსენა კრძალვით, წყაროა:
„გამლახა და გამამრარა!..
დედოფლად სურს იყოს იგი,
აზნაურად კი აღარა!..
„ნურას სწურან, შე ბეჩავო, —
უთხრა თევზმა მებადურსა, —
მაგაშიაც შეგინევი,
მე გაგინევ სამსახურსა.
გასწი შენთვის შენს გზაზედა,
შეგისრულებ, რაცა გსურსა
ვადედოფლებ დედაბერსა,
არ დავაგდებ მონამდურსა...“
შინ დაბრუნდა ბერიკაცი,
ძლივსლა მიჰყვა მას მუხლები,
შეიხედა — გაიოცა:
გაჭიმულა სასახლეში,
შიგ დედოფლობს დედაბერი,
იქ ახლავან მოხელები,
მთავარნი და აზნაურნი,
მდივანნ და ლართ მცველები...
მეჯლიშა, ლილინია,
ლვინონ ისმის ლალისფერი,
საჭმელებიც ფერადები,

„შენ – უკავდაცების ჩამონადენო, მშვერიერებაც ხორ შენით ითქვა; დღიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვაზ, ქართულო სიტყვაც!“



କେବଳ ଲୋକଙ୍କାରୀ

ცოცხალი არის ირგვლივ ყოველი
და მიხარია, რომ ვარ ცოცხალი,
მკვდრეობით აღდგომას ყველა მოელის
და უკვდავების არსებობს წყალი.
ცოცხალი არის ირგვლივ ყოველი
და ყველა საგანს უფეროქვეს გული
და მზე ზემობობს ჩრდილოა მოველი,
გალიმებული, გამარჯვებული.
ცოცხალი არის ირგვლივ ყოველი
და იფარტება მთვარისგან ბინდი
და სიხარულის ცრემლით სოველი
რტოს უქნევს ქარებს ყვავილა შინდი.
ცოცხალი არის ირგვლივ ყოველი,
ალარ არსებობს სიკვდილი არა,
და მზე, ვით ხარი ღრუბელთ მძოველი
უკვდავების კარს გადაეფარა.
ცოცხალი არის ირგვლივ ყოველი
და გვამოძრავებს სიცოცხლის ძალა
და სასუფეველს ყველა მოველით,
ვისთვისაც ჩვენს ღმერთს მუდამ ეცალა.

ମୁଦ୍ରଣ

ოვალს ახარებს წითელი,
 ვით მფეტავი გული,
 ვით უბზარო, ვით მთელი
 ფერად მენამული.
 სიხარულის ფერია,
 ცეცხლისცერი კაბა,
 ვით ალი, ვით ფერა
 ოვალს სიამით ვნაბავ.
 და ერთმანეთს ვუხდებით
 მე და კაპა ჩემი
 და მითორანა მუხლები
 ვით ღელაში - გემი.
 ტალღა სიხარულისა
 მითამაშებს, მარხევს,
 ვით ნაფორტმა ცურვისას
 ცხრა ზღვა გადავლახე.
 მზეც წითელი და გულიც
 წითლად ანთებული...
 არა ვარ დაჩაგრული -
 ვარ გახარებული.

ვამბობ, რაც ჯერ არ თქმულა
 სიყვარულით, ქართულად.
 ვასრობ თქმის სისარულით.
 ლექსებში შეფარულით.
 სიტყვებს ვეცერები და
 ვახალისებ ფრენითა.
 ვით ჩიტები ფრთამალი,
 სიხარულის წამალი
 ტრიალებენ სიტყვები,
 რაც მსურს რომ ვთქვა, გიყვებით
 რითმა რითმას მოება,
 მიღდგას ლექსის დროება.
 სიყვარულით სავსეა
 ყველა სიტყვა, ასეა.
 გული ლექსით გართულა -
 მიყვარს, მიყვარს ქართულად!

ମୂର୍ବାଳେ ସିଦ୍ଧିର୍ଜୁବିଲି, ଚନ୍ଦ୍ରପର୍ବତିର୍ବିଲି, ମହାର୍ଜନ,
ଶ୍ଵେତରଜ୍ଜୁବିଲି ମୂର୍ବାଳେ କ୍ଷେତ୍ରନାଦ ମାର୍ଗଲୁଙ୍ଘା.
ନୁ ଶ୍ଵେତମୂର୍ବାଳ୍ପର୍ବତ! ନୁ ଶ୍ଵେତମୂର୍ବାଳ୍ପର୍ବତ!
ନୁର୍ବିଜା ଆଶ୍ର୍ମାରାଦ ଦା ନୁର୍ବିଜ ମାଲୁଲାଦ.
ଶ୍ଵେତମୂର୍ବାଳୀଲିବା ନ୍ତାବିଦା ଶୁଣ
ଦା ଶୁଣ୍ଯ ଅନ୍ତଲୋ ଆରିଲ ଫୁନିଶି
ଦା ରାଯୁମଭୁବିଲି ପିର୍ବେଲି ଲାମିଲି
ଶ୍ଵେତ ମୂର୍ବାଳ୍ପର୍ବତ ତାବିଦାନ ଶିଥି.
ନାଥେ, ରାମଦେବି ଜାଲିବା ରିଞ୍ଚିଲାଗି,
ଦା ରାଲା ପ୍ରେତି ଫାମାଲାଗି ତଥାଲାଇ!
ଦା ନୁର୍ବିଜିଲିବା ନ୍ତାବିଦା ଦା ରିଗିତ
ଗାନ୍ଧେନ୍ଦ୍ରବା ଶ୍ଵେତମୂର୍ବାଳୀଲି ମତପାରିଲି.
ଅନ୍ତଲାଟ ଦା ମୁଢାମ, ଗାହିନ୍ବିଲି ଦଲିଦାନ
ମେ ମାର୍ଗତୁମାନିତ ପ୍ରୀଯାତ ଲୋଗେରି
ଦା ମାର୍ଗତୁମାନବା ନାମଦ୍ଵାରିଲାଦ ଲିରିଦା,
ତୁଗିତ ମଧ୍ୟା ମାର୍ଗତ ଦା ଶେଷନିଏରି.
ଅର ଶ୍ଵେତମୂର୍ବାଳୀଲି, ଅର ଶ୍ଵେତମୂର୍ବାଳୀଲି
ମାଗ ଶ୍ଵେତମୂର୍ବାଳୀଲି ତୁଗିରିତ ରମ୍ଭ ପଥିଦା,
ମ୍ୟନ୍ତରବାନ କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ରବିଲି ବେମ ଅର ନିର୍ମାନା!
ତା ଶ୍ଵେତମୂର୍ବାଳୀଲି ଶ୍ଵେତମୂର୍ବାଳୀଲି, ଗତକ୍ଷେତ୍ର, ମନମେରିଦା!



as n̄ dymoniby

კეთილისა და ბოროტის ბრძოლა
არა მთავრდება, არა მთავრდება,
ხანგრძლივი, როგორც საფლავში წოლა,
როგორც სიკვდილი - შობის თავდებად.
სიცოცხლე ისე ხანმოკლე არის,
რომ ვეღარ ვასწრებთ მოხედვას უკან.
როგორც გრიალი დაუზღობ ქარის
გვამცნობს, რომ ვხდებით სიკვდილის ლუკმა.

ყველა ლაბაზი გონჯლება მოლოს
ას სიმახინჯა ალასარულობა

თვალი მიჰყება გაფრენილ ჩიტებს,
გაფრენილ ჩიტებს შეხერაში ვიტევ.
როგორ მშურს მათი, როგორ მშურს მათი!.
როდის მერგება ფრენის საათი?
როდის მიმიღებს კეთილი ზეცა,
როგორც ბედურას, ან როგორც მერცხალს?
გული მისკდება ფრენის სურვილით
ყოველ საღამოს და ყოველ დღილით,
როგორც უხედავ მზეს ამომაგლოს
და იმის სხივებს, ვით ჩიტებს მრავალს.
ჩაბავალი მზეც ჭრელი ჩიტია,
რომელიც ზეცაშ ვერ დაიტია
და სადღაც შორს, შორს, ზეცათა მიღმა
მზე ბეჭედია დღის და დროს ნიღბავს.
თვალი მიჰყება გაფრენილ ჩიტებს,
მინაშე დავრჩია და დარდი მიტევს –
ნეტავ, ერთხელ მეც შემესხას ფრთხები!
მზე მეშორება და ველარ ვთბები.

ჩიტივით ტებილად ჭიკჭიკებს წყალი,
ნაკადულივით ულურტულებს ჩიტი.
სადღაც ღილინებს ქარი გამწყრალი,
გრძნობს მინა თბილი ქარების ღიტინს.
თენდება ნელა. თენდება ნელა
და ტყე იღვიძებს ამღერებული.
ჯერ ისევ ბნელა, ჯერ ისევ ბნელა,
მზეს ნელა სცვივა სხსვთა კრებული.
და მზე ნელ-ნელა ეყრება მთვარეს,
სამშობლოს მთებმა თავი ასწიეს.
ლამზ თავის სცლას უკვე ამთავრებს,
სხვები ჰეგვანან მფრინავ არნივებს.
ო, მიყვარს, მიყვარს ეს მინა-წყალი,
პირმშვენიერი და მშობლიური
და გათენება ლამაზი ხვლის
არის იმედი ჩვენი ციური.

როგორც ბებრის პირში ღოჯი,
მოჩანს მთვარე ზეცის პირში.
ვარსკვლავები ირგვლივ ნორჩი
კრთიან გადაყლატების შიშით.
მზე - შუახნის ლამაზმანი
იყურება ზღვის სარკეში,
როგორც ერთი რამე ზმანი
შუქი კაბად მოსავს მრეში.
ვდგავარ ცას და მიწას შორის
და ორივეს ვეფერები
და გადამდის შუბლზე თქორი
როგორც ფიქრის პეპელები.
ცის და მიწის ნაწილი ვარ,
მათი ხორცი ხორცაგანი,
გათი ხისხლი და არ მცირა,
მფარავს ლრუბლის მე საპანი.
მზეს და მთვარეს გეფიცებით,
მიყვარს ეს ცა, მიწა-წყალი.
ვცოცხლობ, ვცხოვრობ ათი მცნებით
და იძოოთ თოვთა ხალის.

მე ვარ სული ბედნიერი,
 განწმენდილი უფლის მადლით.
 როცა ვგალობ, როცა ვმღერი
 ცხოვრებას სამოთხეს ვადრი.
 მე ვარ სული მშვენიერი,
 რადგან რწმენაშ დამამშვენა
 და ვარ უფლის მადლიერი
 რომ ამადგმევინა ენა.
 მე ვარ სული უძველესი,
 გავიარე ბევრი ხანა
 და უფალი მყავდა მწყემსი,
 ჩემს სულში რომ დაივანა.
 სიხარულით, სინანულით
 აღსავესა ჩემნი დღენი.
 უფლის სახლში სიარულით
 არ ვიღლები, მწამს და ვშვენი.
 მე ვარ სული ბედნიერი!
 შეგვენიოს უფლის მადლი!
 ჩემი რწმენით ვარ ძლიერი,
 ვით მზის შუქით — მთვარე ბადრი

ისე თენდება, ისე დამდება
ჩემს ცხოვრებაში არც არა ხდება
და დღე ყუველი არის წამება,
თუ რატომ, ამას ვერავინ ხდება.
არავინ იცის, ამ ჩემს მკვდარ გულში
რა ცეცხლი ბოლავს, რა ცეცხლით ვიწვი
არა ვყოფილვინ არასდროს მრუში
და სულა ჩემსა არ ახლავს ბიწი.
მე დავიღალე და მიძინება
მიახლოვდება, როგორც ჯალათი,
რომელმაც ჩემი დასჯა ინება
და მე ჩამიქრო ყველა სახათი.
სულერთი გახდა დღეს ყველაფერი,
და რაც იქნება, იყოს და მოხდეს
და მზე კლდეებზე გადმონაფენი
ჰგავს კუბოთა ქვეშ დაფენილ ნოხებს.
ისე თენდება, რომ ვეღარ ვიგებ,
გზას მივუყვები ხელის ცეცხლით.
უფალო, მიხსენ და დამარიგე,
ვით დავამარცხო დარდის მხეცები!

ରାମଦେବୀ ରାମିଲେ ମଜ୍ଜେରିଲୁହା, ଲମ୍ବେରିତମ!
ଅଲାରାଫ୍ରିଲିସା ଡଲେସ ଅଲାର ମଜ୍ଜେରା.
ଓ, ଶୁରୁ ଶାକୁ, ଅରାସଫରିଲେ ଟେଟରିନ୍
ଶେନ ଡାମ୍ଭେରିଲୁହା ଅଥ କେଦିଲୁକ୍ଷେରାଦ.
ରାମଦେବୀ ରାମେ ମେ ମାକ୍ଷେଲୁକ୍ଷ ଆଲ୍ଲା,
ରନ୍ଧା କ୍ରୋପର୍ରେବିଲେ ଗାର ଶ୍ଵା ଗୁଣାଶ୍ଵ
ଦା ହେମ୍ବ କ୍ରୋପର୍ରେବା ତ୍ରୁପ୍ତିଲୁହା ଆଲ୍ଲାକ୍ଷେ,
ବାର ଶ୍ରୀଏବିନୀ କ୍ରୋଲିସା କ୍ରୋଲିକ୍ରୋଲି ବାନ୍ଧେ
ରାମଦେବୀ କାରିଶ୍ବାଲ୍ଲ ମେ ଗୁପ୍ତୁକ୍ରେଲୋ,
ଅଲାର ଡାମତାପରିଲୁହା ମାତି କ୍ରେନ୍ଦ୍ରାବ,
ରନ୍ଧାରିଲୁହା କ୍ରେନ୍ଦ୍ରାବ ଆରି, ଫୁଲ୍ବେଲ୍ଲି
ମିଟ୍ରାପ୍ରେଶ୍ବ କାରି ଦା ମେରିବ୍ରେନ୍ଦ୍ରାବ,
ରନ୍ଧା ଅର ଗାଲୁଲା ଅରିଲୁ ଏରତି ନେଲ୍ଲି,
ମାର ଶ୍ରେମଦ୍ଦେଖ, ରନ୍ଧା ମିଯୁଗାରିଲୁହା, ମିନାମଦା,
ଅଲମାରିତ୍ତୁଲ୍ଲିବା କ୍ରୋପର୍ରେଲୁ କ୍ରେଲୀ,
ଶ୍ଵାଲ୍ଲ ତ୍ରୀଙ୍ଗଜୁଲ୍ଲି ମିନ୍ଦେଖ୍ବ କ୍ରାଦା.
ରାମଦେବୀ ରାମେ ଗାଦାଵିତ୍ତାନ୍ତେ,
କ୍ରେଲ୍ଲିକ୍ଷ ମର୍ବାଲନ୍ତିଏ ଲ୍ଲେବାନ୍ଦ୍ରେଲ୍ ଲ୍ଲେବିମଦେ,
ମାଗରାଠ ଅରିଲୁ ଏରତକ୍ରେଲ୍ ମେ ଅର ବିନାନ୍ତେ
ସିଯୁଗାରିଜୁଲ୍ଲିବା ଦା ମିଥ୍ରେ ରନ୍ଧା ମିଯୁବ୍ରେନ୍ଦ୍ରାବ.

შზეო, აქეთ მოიხედე,
გთხოვ, თვალი არ ამარიდო!
შეეგიყვარე და მოგნედე,
მზად ვარ, ეგ სხვივი ვზიდო.
სიხარულის შენ ხარ მაცნე,
სიყვარულის ხარ ბეჭედი
და ის სითბო, რასაც გასცემ,
უკან გიბრუნდება ბედით.
ნახე, როგორ მოგელტვით
და ნახე, როგორ გეფერებით!
შენთან ერთად ამობრწყინდა
იმედი და გვესხა ფრთები!
სანამ შენ ხარ ამ ჩვენს ცაზე,
სულ სიცოცხლე გვიწერია,
ხარ სიშმაგე, ხარ სინაზე,
შენი პირმშო თვით მწერია.
და ჩვენც შენი ვართ შვილები,
დედა მზეო, მოგვეც ბედი!
და უშენოდ ნაშლილები,
შენით უნდა აღვადგეთ მკვდრეთით

ରା କ୍ଷେତ୍ରା, ଡାମ୍ଭେଶ୍ଵର ସାମନ୍ତକୋଟିର ପାରି
ଦା ଜ୍ଞାନଗଂଧେରିଟିଲା ପାରିବା ଲାଇ,
ମିଠୀର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ରା କାରିଲା ଆମଜାରି
ଦା ଏହି ଶ୍ରେଣୀରେ, ଏହି ଶ୍ରେଣୀଲାଇ.
ମିଠୀପାତ୍ର ତୁମ୍ଭିରିଲାଇ କ୍ଷେତ୍ରଗିନ୍ଦ୍ରିୟ
ଶ୍ରେଣୀରେକ୍ଷେତ୍ରକାଳିର ଦାଖିଶ୍ରେଣୀର ଶାନ୍ତି
ଦା ମେନାକ୍ଷର୍ତ୍ତରେବା ସିନାଥିର ମହାବଲ୍ଲେଖିଲ
ଦା ଏହି ସିନାପିରିଗିର ମିଠୀରିଲା ଆତ୍ମାନା.
ଲୂପାଶୀ ପାତ୍ରିପାତ୍ର ଏହିର ଫରନୀ, ମେ ମାତ୍ରକୋଟି
ଦା ଫରନୀ ନାମାରିବା ଦିଲା ସିନିଲାମାଶୀ
ଦା ନାରିମ୍ଭେକ୍ଷେତ୍ରା ଉଦ୍ଧରନୀର ଶାସନ
ଦା ସିନିମରାଦ କ୍ଷେତ୍ରାଙ୍କ ଶମାତା ରାଶମେବୁ.
ଶୁଭମ୍ଭ ମିଠୀନେବିଲା ଶୁଭାନ୍ତାକଣ୍ଠେଲାଦ
ମେ ଗାଢାକ୍ଷେତ୍ରାଙ୍କ ହେଲି କ୍ଷେତ୍ରାଙ୍କ ଦରମାଲିକା
ଦା ସିନାନ୍ତାକୁଣ୍ଡିଲା ପ୍ରମ୍ଭମଲା ନାମକ୍ଷର୍ତ୍ତରେବା
ବେଳିତ ଶୁଭେଳିଲୀଏ ମଲକ୍ଷେତ୍ରାଙ୍କ ଦରମାଲିକା.
କ୍ଷେତ୍ରାଙ୍କ ଶେତ୍ରାଙ୍କ, ଶେତ୍ରାଙ୍କ ପାନ୍ତିପଦେଶୀ,
ଫରନୀରେବି ମେଲିଶେବରିରେବା, ମେପଦେଶୀ ଦାଲା,
ମେଗବେଶୀରା ଶୁଭମ୍ଭିର ସାନ୍ତୁଷ୍ଟେବିଲା,
ବୀନ୍ତି ହେଲିଥେ ଶୁଭନିକ ଏହି ମିଠାଲା!

წყალი ვითხოვე, მომეცა წყალი,
პური ვითხოვე, მომეცა პური,
არ იყო ღმერთი ჩემზე გამწყორალი
და ჩემ ვედრებას ათხოვა ყური.
ლექსი ვითხოვე, მომეცა ლექსი,
რომ ამომეთქვა გულისნადები
და წუთისოფლის ჭუჭყას და ლექში
ვყოფილიყავი უფლის თავდები.
მხოლოდ სითბოს და სიყვარულს ვითხოვ,
არაფრს ზედმეტს და შეუძლებელს,
მაგრამ ახდება ოცნება ვითორშ?
ვიპოვა, ვისაც ყოველთვის ვეძებ?
ჩემი სიცოცხლე დაუწერელი
ლექსია გრძელი და ნაღვლიანი,
წამები მუდამ დაუწერელი,
იმ ლექსში ზიან, როგორც იანი.
წყალი ვითხოვე, მაგრამ ჩემს წყურვილს
ვერ შევეღის წყალი, ვერ შევეღის წვიმა
და ცრემლებს ჩემსას სიმწრით
მოწურვილს
ვატან, რაც ლექსში ვერ ჩავდე, იმას...

გადარევა ქარმა,
თეთრი ღრუბლის ფარა,
როგორც მეომარმა,
ნინ მზე გაატარა.
ვდგავარ, ღრუბლებს ვუსტვენ,
ვით გაფრენილ ქორებს,
ძლიერებს თუ სუსტებს
ქარი მიაქროლებს.
დაეშვება ბინდი,
ისურება კარი,
მძერის „ინდი, მინდის“
მოუცლელი ქარი.



„შენ—უკვდაცების ჩამონადენო, მშევნეოერებაც ხომ შეინით ითქვა; დიდება შენდა, ჩემი ნათელო—ქართულო სიტყვაც, ქართულო სიტყვაც!“

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ, କମିଟିକୁ
କେଣ୍ଟରଫଂଡ଼୍, ଫର୍ମଟାର୍କ୍

 განათლება

„ქვეყნისთვის სამარცხვილო პანონი ნაჩერებევად დაამტკიცეს!“



პროფესიული განათლების პროფესიული განათლების პროფესიული განათლების თავმჯდომარე დანის დავით შვილი კვლავ უკავყოფილოა — ამჯერად „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანას აპროტესტებს და პრეზიდენტს მიმართავს, რომ კონსტიტუციური უფლება გამოიყენოს და ზემოხსენებულ ცვლილებებს ვეტო დააღო

— სამზუხაროდ, პროფესიული განათლების სისტემა, თავის საჯარო და კერძო კოლეჯებიანად, კატასტროფულ მდგომარეობაშია. პროფესიული განათლების პროფესიულ ხელის პულსზე გვიდევს და არსებულ გამოწვებებს ვუმკლავდებით, მაგრამ ვყელა აზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, პარლამენტისა და პროფესიული კოლეჯების დაფუძნების კომისიის წევრები დარწმუნდნენ, რომ სამი წელია, განათლების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი დეპარტამენტები ლაპარაკის გარდა არაფერს აკეთებენ. არადა, წესით, დასახული სტრატეგია უნდა განეხორციელებინათ, რომელიც 30%-ით არაა შესრულებული.

საერთოდ, რეფორმა რომ განხორციელდეს, შესაბამისი კანონმდებლობის შექმნაა საჭირო, რისთვისაც პარშან ზემოსხესნებული კომისია შეიქმნა, რომელსაც კანონპროექტი – „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ უნდა შეემუშავებინა, მაგრამ ამაღმართობის განათლების სამინისტრომ, საჯაროობის გარეშე, აპრილის ბოლოს, კანონპროექტი, რომელიც 8 პუნქტისგან შედგება და სადაც ახალი ტერმინებია შემოღებული, პარლამენტში შეიტანა, მაგრამ მერჩმუნეთ, ეს პროფესიული განათლების სისტემას – კოლეჯებს სარგებლობას ვერ მიუტანს და, რეფორმების განხორციელების ხელშეწყობის ნაცვლად, დააზარალებს და კრიზისს კიდევ უფრო მეტად გააღმრავებს. ამიტომ, კანონპროექტი პარლამენტს უკან უნდა გაეწვია, მაგრამ ასე არ მოხდა.

26 ივნისს, პარლამენტის ბოლო საგაზაფხულო სხდომა ჩატარდა, რომელიც საღამოს რვის ნახევარზე დასრულდა. არადა, წესით, 9 საათამდე უნდა ემუშავათ. ჩემდა გასაკვირად, ბატონნა უსუფაშვილმა გამოაცხადა, სხდომას დავხურავ, ხვალ საგანგებო სხდომა იჩიშნებათ. მართლაც, ასე მოხდა – შაბათს ქვეყნისოთვის სამარცხინო კანონი ნაჩერევად დაამტკიცეს.

— ამ კანონს სამარცხეინოს რატომ უწოდებთ?
— დამანგრეველი რეფორმების გამო, პროფესიული განათლების სისტემის ქსელიდან თვრამეტიოდე კოლეჯილა დაგვრჩია, ისიც — სწავლების დაბალი დონით. არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, მაგრამ 2009 წლიდან სწორედ ამის გამო დავუშირისისირდი განათლების მაშინდელ მინისტრ შავკინს და დასურული კოლეჯების აღდგენისოვის ბრ-

„କାତମନ
କରେଣିଲେବୁନ୍ତିର,
ଧାରାଦେଇ ପେତିର!“
- କରନ୍ତୁବୁନ୍ଦି
ଗାନ୍ଧାରିଶବ୍ଦି
କରନ୍ତୁକାପଥିରେବି ଧିନରଥ
ମାରିବେଲାଙ୍କବିଲ୍ଲି
ଅମାରଟାଜେନ

ბი გვერდნდა და მაშინ მითხრა, პატონო დე-
ნის, როცა პროფესიული განათლების
რეფორმების სტრატეგია და მატკიც-
დება, ახალი კანონი შევქნათ და
ყველა ის ნაკლი, რაც აქამდე
არსებობდა, აღმოვცხვრათ.
ამის მერე ის პრეზიდენტი
გახდა და ადგილი თამარ
სახისიძეს დაუთმო, რომე-
ლმაც ყველაფერი თავდა-
ყირა დააყერი. სანიკიძეს,
როგორც გითხარი, მა-
რგველაშვილი ლობირე-
ბს და ამიტომაც არ მჯე-
რა, რომ აღნიშნულ კან-
ონს კეტოს დაადგებს. ის-
იც გასათვალისწინებელ-
ია, რომ სახისიძემ დარიბ-
აშვილს ერთგულება შეჰვ-
იცა, შენი გუნდის წევრად
მიგულეო. იქნება, გაარკვი-
ონ – ეს ქალი ვის თამაშს თამა-
შობს?! ყველაფერზე მაქას მტკი-
ცებულება, ვიდეო თუ აუდიო ვარ-
იანტი, ჩემს ყველა სიტყვაზე ვაგებ
პასუხს და მოგიწოდებთ, არ შეუწყოთ
ხელი ისეთი კანონის მიღებას, რომელიც
ჩვენც გავაწებს და პრეზიდენტის რეპუტა-
ციასაც შელახავს.

— ბატონიშვილის, განათლების სამინისტროს ბიუჯეტი შეუმცირეს. ამის გამო პროფესიული განათლების ცენტრები კიდევ უფრო ხომ არ დაზარალდებიან?


– პროფესიულ შირმა მთავრობის, აუდიტორის, ფინანსთა და განათლების სამინისტროს, ასევე, პარლამენტის წინაშე საკითხი დავაყენეთ, რომ დღესვე შემცირდეს პროფესიული განათლების დაფინანსების ნაწილი, ვინაიდან პროფესიული კოლეჯები სტუდენტებს რეალურად ვერ ღებულობენ და ვაუჩერული ნაწილი აუთივისებელი დარჩება. წელს შესასრულებელი ერთი პროექტიც არაა თავისი ხარჯათაღრიცხვით შედგენილი. უბედურებით, რომ ვერ გეგმავთ კონტინგენტის მიღებას სპეციალობების მიხედვით. არსებულ კოლეჯებში პროექტები უნდა შეედგინათ, მაგრამ არც პროექტები ჩანს და არც – სახელოსნოები. კოლეჯების დაფუძნების ცალკეული მცდელობები წარუმატებლად დასრულდა. ამის მაგალითად „მოსე თოოიძის სახელობის ცენტრის“ გაუქმება. 2013 წელს, ბრძანება დაიწერა და წერეთლის 23-40-ში ადგილიც შეარჩიეს, სადაც კოლეჯი უნდა გახსნილიყო. მოძღვვის წელს კი, განათლების სამინისტროს მიერ მილიონ 222 000 ლარად გამოცხადებულ ტენდერში, 400 000 ლარით ნაკლები თანხით, ერთმა მონაწილემ გაიმარჯვა. მეგონა, კოლეჯის დაფუძნებას შევძლებდით, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, დაიღო დასკვნა, რომელიც აღნიშნული შენობის ავარიულობას ადასტურებდა და ტენდერის შედეგები გააუქმებს. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: განათლების სამინისტრომ შენობა ტენდერის გამოცხადებამდე რატომ არ შეაძონება? საუბარია საკმაოდ გამართულ კაპიტალურ შენობაზე, რომელსაც ავარიულობის არაფერი ეტყობა. ამიტომ, მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვიციირო, რომ ავარიულობა გამოგონილია და ეს შენობა ვიღიაცას ბიზნესის სანარმოებლად უნდა გადასცენ.

ანათლებობლო სისტემის მიზანდასახული ნგრევა მიმდინარეობს. განსაკუთრებით მძიმე პერიოდი 2007-2012 წლებში იყო, როცა მიიღეს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც პრობლემები შეუქმნა ახალგაზრდებს. მათ, ხელობის მიღების შემდეგ, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება სურდათ. როცა ჩევნნაირ აგრძარულ ქვეყანაში 25-დან 22 სასოფლო-სამეურნეო პროფილის კოლეჯს დაბურავ, ასეთ საქციელს რა უნდა ვუწოდოთ? მოსწავლეებს ეს არ აკმარეს და გამოცდები დანიშნეს კოლეჯში მოსახვედრად. ეს პრაქტიკა მსოფლიოს ერთ ქვეყანაშიც არ მოქმედებს. კოლეჯების მიღმა 45%-ზე მეტი მსურველი რჩება, რადგან გამოცდები აშინებს. შარშან, 20 000 მსურველიდან სწავლას მხოლოდ 12 ათასი შეუდგა.

ესაუბრა ნათია ლებანიძე



„შენ – უკვდავების ჩამონადენი, შევენირებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავა, ქართული სიტყვავა“
კარი კარი



საქართველოს
უკანასკნელი უკანასკნელი
უკანასკნელი უკანასკნელი

■ ინციდენტი უკანასკნელი

კაცი, რომელმაც არ იცოდა შიში...

მწერალმა ჭაბუქა ამირჯაბიძე (ზერი დავითი) ასეთი სიტყვებით დაასასიათა საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე: „პატონ ედუარდის სულიერი კაპიტალი ერთ ისტორიულად უმნიშვნელოვანეს ნიადაგში დაბანდდა და თავისი ამინაგებიც უკვე მოაქვს. ეს არის საქართველოს, ქართველი ერთს საერთაშორისო, გლობალური ფუნქციის ახალ ხარისხში აღდგენა. საქართველო უკვე იქცა სახელმწიფო, რომელსაც სარგებლობა მოაქვს დანარჩენი მსოფლიოსათვის“.

ედუარდ შევარდნაძის გახსენია

დღის, საქართველოს დარითა და ტკი-ვილ-სისახარულით ასასაცე ისტორიის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მასტაბის ადამიანი პარმი პეტრი რომელთა მთავარ ადამიანი უფლებას ქართველი ხალხის გადარჩენისა და გამოლევიძების სამამულიშვილო მისია წარმოადგენდა.

ქართველი ხალხი ზოგჯერ აჭარბებს და ემოციურად აღიქვას ამა თუ იმ ადამიანის დამსახურებას ქვეყნისა და ერის წინაშე, მაგრამ უცხოელები, მეტადრე, პოლიტიკოსები, დიპლომატები თუ მაღალი რანგის სახელმწიფო, საზოგადო და კულტურის მოღვაწენი ასე არ იქცევიან.

„ისტორიის მნიშვნელოვანნილად მაინც ადამიანები ქმნიან და აღმოსავლეთ-და-სავლეთის კონფრინტაციის დასასრულის ისტორიის შექმნაში შევარდნაძეს მეტი წვლილი მიუძღვის, ვიდრე – რომელიმე ცალკეულ პიროვნებას“, – ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდგვანი ჯეიმს ბერიერი (1989-1992 წწ.).

ჩვენ უცხოვრობთ უაღრესად რთულ ეპოქაში, შესაბამისად, შეუძლებელია ყველა დაინახოს ის რეალობა და გამორჩიოს ბენებში ნათელი, რომელიც მოგვცემს სწორი ანალიზისა და განსჯის უნარს, თუმცა განსხვავებით უმცირესობისგან, არასოდეს დამიკარგავს ადამიანების შეფასების ჩემეული ხედვა, თუ ადამიანი ნორმალურია, შეუძლებელია, ჩუმად ისმენდეს ხოტბა-დიდებას ან სიცრუით გაჯერებულ სიტყვებს, თქმულს ქართველი ერის უდიდესა დადამიანის ედუარდ შევარდნაძის მისამართით, შეუძლებელია, არ გამოხატოს თავისი მიუკერძოებელი და ობიექტური სათქმელი, რომელიც ასე ძალიან აუცილებელი და ფასულია ყველა დროში.

მეც ამას ვემსახურები – ვამბობ იმას, რაც სიმართლეა, რაც რეალობაა, რისი ართქმა და დაუნახაობა დიდი უზედურება, უმაღურობა და სულმდაბლობა იქნებოდა, რადგან მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა და 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის საქართველოს ისტორიის ბევრი ლამაზი, სუფთა და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფურცელი სწორედ ედუარდ შევარდნაძის შრომითა და თავდადებით დაინერა.

მახსოვს კრისტიანის რეზიდენციაში პრეზიდენტთან (ასე მივამორთავდი მუდამ) შეხვედრით გამოწვეული უსაზღვროდ ბედნიერი დღეები, წუთები, რომელიც არასოდეს დამამინიჭება და ჩემს ცხოვრებას გაადამაზენ.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის ფერომენში საოცარი თვისებები აღმოვაჩინე – დიპლომატიური ეთიკისა და პოლიტიკური იუმორის, რომელიც მის ისედაც ნათელ სახეს და წრფელ ლიმილს უფრო მეტ სისპეტაკეს და უბრალოებას მატებდა. არასოდეს იტყობდა აუგსა და ძვირს მისთვის და ქვეყნისთვის მიუღებელ, ან არასასურველ ადამიანზე, განვითარებული პასუხები შეკითხვებზე და რაც მთავარია, მიტევების უნარი, რის გარეშეც ამ რანგის ადამიანი ვერ იარსებდება....

როდესაც ვსაუბრობთ შევარდნაძის მაღალ ადამიანურ თვისებებზე, თუ ადამიანი სულიერად ბრმა არ არის, თვალწინ წარმოუდგება ეროვნული მოღვაწე, რომელიც განსაცდელში ჩავარდნილ სამშობლოს და ხალხს არასოდეს ტოვებს მარტო, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სერ როდრიგ ბრეიტვეიტის სიტყვები: „პოლიტიკ-

ური და პირადი გმირობა ედუარდ შევარდნაძის ყველაზე დიდი დამახასიათებელი თვისებაა“.

ედუარდ შევარდნაძე ჩემთვის არის არა მარტო დიპლომატი, დიდი პოლიტიკოსი, შეუძლებელი სახელმწიფო და შორისმჭვრეტელობით, 1990 და შემდგომ წლებში (არაერთხელ) ჩიხში შეყვანილი საქართველო გადარჩენია, რომელმაც ნულიდან დაიწყო ამ ქვეყნის საგარეო და სამინაო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრია ისე, რომ მის გვერდით ძალიან ცოტა ერთგული და ღირსეული თუ იდგა და ისიც, უბრალო ადამიანი...“

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბატონი ედუარდ-გიორგი შევარდნაძე სამუდამო სამყოფელში გადასახლდა, სადაც მისი ღირსეული და ჩვენი ერის თავდადებული მამულიშვილი მკვიდრობენ და დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ადამიანის წინაშე მთელი ერი და პროგრესულად მოაზროვნე ცივილიზაციული მსოფლიო ვალში ვართ..

მავანი ახლაც გავირვენებით იკითხავს, რა გააკეთა ასეთი, რა შექმნა, რა დაგვიტოვა და მსგავსი შეკითხვები კარგა ხანს იარსებებს, მაგრამ უსაძირკვლოდ, რადგან ისტორია თუკი ის პირუთონელად და მიუკერძობლად დააწერა (რისი იმედი ჯერ არ დამიგარგავს), აუცილებლად გამოიუტანს თავის შეჯავრს ყველას და, მათ შორის, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, კაცს, რომელმაც არ იცოდა შიში, საძულვილი, ბორიტება, ანგარიბა, ლავარძლ და ორპირობა, სწორედ ამ თვისებების არქონის გამოა, რომ მას გმირი უწოდეს, ხოლო ადამიანს, რომელსაც ზნეობა არ აქვს, რომელიც მშიშარა და მხდალია, იმის სახელი უკვალოდ ქრება.

ედუარდ შევარდნაძე არის ადამიანი, რომელიც ოქროს ასოებით შევიდა მსოფლიოს ისტორიაში, როგორც ყველა დროის და ყველა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და აღიარებული სახელმწიფო, პოლიტიკური, სამხედრო, საზოგადო და დიპლომატიური მოღვაწე.

ჩემს სამუშაო მაგიდაზე მიღევს ამონაპეჭდი ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვებიდან, რომელსაც ბშეობა არ აქვს, რომელიც მშიშარა და მხდალია, იმის სახელი უკვალოდ ქრება:

„მე ბედნიერი კაცი ვარ, უპირველეს კოვლისა, საკუთარი თავის გარდაქმა შევძებლი, როგორც პოლიტიკოსს, ბედმა მარგუნა ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მშვიდობიან რევოლუციაში მიმღელ მონაწილეობა. ეს ყველაზე დიდი მშვიდობიანი რევოლუცია იყო. უფრო მეტად ბედნიერი – იმით, რომ ჩემი ერისთვის ყველაზე მძიმე წუთებში ბედმა მასთან ყოფნა მარგუნა“.

„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები“ – ასეთი მგრძნობიარი სიტყვებით გამოიერთოვა აკაკი თავის უძვირფასეს მეგობარს დიდ ილია მართალს და მეტ იგივეს ვიტყობდი ედუარდ შევარდნაძის მიმართ, რომელიც მარად იცოდებს საქართველოსთან ერთად.

სასუფევლი დაუმკვიდროს უფალმა ედუარდ-გიორგის სულს და დაანესოს ის სავანესა მართალთასა, ამის!





„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშექნიერებაც ხომ შენით თქვა; დიდება შენდა, ჩემი წაფლო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ“

კონკრეტული

ლეტურისტურა, წალიტურა
ექსლის წევა, წალიტურა

□ ზორაუთხა

როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს

ზორლოზ
ვლადიმერ
ნიკლიაზვილის
პრაქტიკული
რჩევები

„ერთ სალამის შინ მანქანით ვბრუნდებოდი. თბილისში რომ შემოვედი, სასტუმრო „უშბასთან“, მანქანი რალაცას დაეჯახა და გაჩერდა. მანქანიდან გადმოვიდა მძღოლი და... გავიგონე, როგორ დაიწყეს ჩეუბი და ლანძღვა. თურმე, მანქანა ძალის დასჯახებია... მეგონა, ძალი შეეცოდათ... მათ კი, ძალის დაუწყეს გინება. ისიც გავიგონე, ერთმა როგორ თქვა, ერთი ამ ძალისაც... მანქანა დამისვარაო“, – მიყვება ზოოპარკის ყოფილი თანამშრომელი ვლადიმერ ნიბილაშვილი, რომელმაც „ქართული სიტყვის“ წინა ნომერში ზოოპარკის განადგურების მიზეზად ახალი სამნექანო გზა დაასახელა. 20 წლის სტაჟის მქონე ზოოლოგი, რომელმაც მთელი ცხოველებაც ცხოველებთან გაატარა, გვასწავლის, თუ როგორ ვავებოთ და მოვუაროთ, რა დაავადება შეიძლება გაუჩნდეს, როგორ ვუმკურნალოთ და, საერთოდ, როგორ მივუდგეთ შინაურ ცხოველებს. ძალი ბატრიონს ჰგავსო, ამბობს ბატონი ვლადიმერი და საუბარს აგრძელებს:

– ახლა იმის საპირისპიროს გეტყვით, რაც წელან მოგიყევით, ამ სცენასაც თავად შევესწარი: ბაზარში ერთი კაცი ჩიტებს ჰყიდდა – ბუნებაში დაიჭერდა ხოლმე, გალერებში ამცყვდება და თითო ჩიტები გასყიდად, მგონი, ერთ ლარად „გამოყავდა“. ერთხელ, მასთან უცნობი მივიდა, რომელსაც პატარა ბავშვი ახლდა. პატარას კველა ჩიტის გამოსასყიდი ფული მოსცა, გალია გაახსენებინა და ჩიტებიც გაფრინდნენ... მახსოვეს, როგორ იდგა ბავშვი და თავისუფლებადაბრუნებული ჩიტების დანახვა უხაროდა. ზუსტად არ ვიცი, იმ კაცმა ეს რატომ გაავეთა, მაგრამ ასეთი ადამიანებიც არსებობენ. სამწუხაოდ, არსებობენ ისეთებიც, რომელთათვესაც მკვდარი ძალი დასვრილი მანქანის, ანუ პრობლემის გარდა არაფერია.

იცით? – მთავარი პრობლემა დამოკიდებულებაშია... ერთი ადამიანი ვიცი, რომელსაც ცხოველების მიმართ არაჩეულებრივი დამოკიდებულება აქვს. ეს ადამიანი თამაზ ელიზბარაშვილია და, კუქიძე, ზოოპარკის დირექტორი.

– მანც, რა არის შინაური ცხოველი, როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს მათ მიმართ? პატონო ვლადიმერ, მოდით, ძალასა და კატაზე გისაუბროთ...

– პირველ რიგში, აუცილებელია, რომ ცხოველი არა გასართობ საშუალებად, არამედ, ცოცხალ ირგანიზმად აღვიტვათ, რომელსაც შეგრძნებები აქვთ. ამიტომ, მისი მოვლა დიდი ბასუსისგებლობაა. დღეს საზოგადოების დიდ ნაწილში მათ მიმართ საშინელი დამოკიდებულება არსებობს. ზოგს ცხოველი საერთოდ არ უყვარს და წარმოდგენაც არ აქვს, რა არის. თუ გახსოვთ, ადრე გითხარით, ზოოპარკში ბავშვი ვეფხს ქვებს ესრიდა და ბებიამისს რომ ვკოხე, ამას რატომ აკეთებინებეთქი, მიპასუხა, ცხოველი იმიტობა, ბავშვი გაართოსო. ზოგს ძალი სამარიაჟოდ ჰყავს. რამდენჯერ დამინახავს ქუჩაში გოგონა, რომელიც ძალას მოასეირნებს, თან ვინმეს ელაპარავება, ან ტელეფონს ჩაჰარკიტებს. ძალი ბუნებრივი მოთხოვნილების დასაგამაყოფილებლად რომ ჩერდება, ზედ სულაც არ უყურებს და იქინ მიათრევს, საითაც მიდის.

ფილმი „იმერული ესკიზები“ გახსოვთ?

– დიახ... „აბა, ბავშვებო, რა სარგებლობა მოაქვს მამალს...“

– დიახ... სწორედ ასეთი დამოკიდებულება აქვს ჩემი საზოგადოების ძირითად ნაწილს შინაური ცხოველების მიმართ – თუ ცხოველს რამე სარგებელი არ მოაქვს, ის საჭირო არაა. რამდენჯერ უთქვამთ ჩემთვის, რად გინდა ეგ ძალი, ვერც ხორცს გაძლევს, ვერც – კვერცხს და არც ინველებაო.

– მართლა, რატომ გყავთ?

– ჯერ ერთი, მიყვარს, მეორეც, საჭირ-



□ ცაორი



ვ-16 გვარდიანი

ო. ასევეა კატაც. ორივე ადამიანებმა იმიტომ მოიშინაურეს, რომ აუცილებელი იყო.

— რისთვისა საჭირო ძალი, ან კატა, ბატონო ვლადიმერ?

— ყველა ჯიშს თავისი დანიშნულება აქვს. მაგალითად, კავკასიური ნაგაზი ცხვრის ფარას იცავს.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ ცხვრის ფარა არ გყავთ!

— ჩემი როტვეილერი გარკვეულწილად მეც მიცავს და მისი იმედი მაქს, თან ბავშვობიდან ისე ვარ მიჩვეული, რომ მგონია, მის გარეშე სახლში სიცარიელეა.

— ძალი ადამიანის მეგობარია!

— დიას, შეიძლება, ყველაზე გილალატოს, მაგრამ ძალი არ გილალატიბს.

კატასაც თავისი დანიშნულება აქვს — უფრო საყვარელია და თავისებური ნიპლი აქვს. მართალია, ძალი ვით ვერ გამოხატავს, მაგრამ იცით, როგორი ერთგულია?

— როგორ უნდა მოვუაროთ შინაურ ცხოველს, ვთქვათ, ძალს?

— მოვლა ისეთი საკითხია, თუ გარკვეული არ ხარ, უნდა გაერკვე და შინაური ცხოველი მერე აიყვანო. თუ აიყვან, თავი ვალდებულად უნდა ჩათვალო, რომ მათზე სიცოცხლის ბოლომდე იზრუნო. ამ საკითხი კარგად გასაცვევევად უამრავი ლიტერატურა არსებობს.

— ლიტერატურის წაკითხვამდე, პრაჭიკული რჩევები თქვენ მოგვეცით...

— ხომ გითხარით, მთავარია, გააცნობიერო, რომ ცხოველი გასართობი და „სამარიაჟო“ არაა. ახლა აჩემებული გვაქვს, კავკასიური ნაგაზი უნდა გვყავდეს. არადა, ის სულაც არა ქალაქის ძალი, თუმცა თუ კარგად მოუვლი, მაშინ დასაშვებია. ძალის სივრცის მთავარი ბატონობა და ყურადღებაა. ასევეა, კატაც. წინასწარ უნდა გაითვალისწინო, რომ ძალის დილა-საღიბოს გასეირნება და კვება უნდა და როცა აიყვან, მიუხედავად იმისა, კარგია თუ ცუდი და შენს მითითებებს ასრულებს თუ არა, არ უნდა მიაგდო და იცოდე, რომ ვალდებული ხარ, მასზე იზრუნო.

— ვთქვათ, ძალი ავია და სტუმრებს უყებს, როგორ მოვიქცეთ?

— ძალი პატრიონის ჰეგავს და ეს ყეფაც პატრიონის ბრალია. მის ალზრდა სჭირდება და როგორც ალზრდი, საბოლოოდ, ისეთი იქნება. არსებობენ მეტნაკლებად აგრძესაც ჯიშები, თუმცა მაინც ყველაფერი პატრიონზე დამოკიდებული. თავისი გართლებები ძალს კი არა, ადამიანსაც აქვს. ჩემისას, მაგალითად, არ უყვარს, როდესაც მტკიცნეულ ადგილას ვკიდებ ხელს და ვცდილობ, დაკვირვებული. ამ დროს, შეიძლება, მიკბინოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდია და გავაგდო. ყოველოვანის უნდა ეცადო, რომ ცხოველთან რაღაც საერთო გამონახო. ჩემი როტვეილერი სხვა ძალებისა და კატებისკენ, ასევე, ჩემი ფრინველებისკენაც „ინკვდა“, მაგრამ ჩავაგონე, რომ ეს არ შეიძლება.

— როგორ ჩაგონეთ?

— იი, მაგალითად, როდესაც ჩიტებთან მიდიოდა და ხმას გავიგებდი, მივვარდებოდი და დრუნჩიში „მოვდებდი“ ხოლმე. რამდნერმე რომ განმეორდა, მიერვია, ასე არ უნდა მოიქცეს.

— ხომ შეიძლება, ფრინველებს, ან კატას მაშინ დაეხსნას თავს, როცა შინ არ ხართ?

— სახლში რომც არ ვიყო, მაინც არაფერს იზამს.

რამდენჯერ დამინახავს ქუჩაში, რომ ძალის დანახვაზე კატაზე ამძრალა. ამ დროს კი, პატრიონს, რომელიც ძალიზე გაცილებით ავია, ძალი კატაზე დაუგეხვას და მის მოსაკლავად მიუშვია. ზოგარესში ყოფნისას რამდენჯერ დავფიქრებულვარ, ცხოველები გალიებში არიან თუ გარეთ, ქუჩებში-მეთქი.

— ძალა ის მითხარით, ბატონო ვლადიმერ, რა დაგავადება შეიძლება შეხვდეს ძალს?

— პირველ რიგში, ლევანისას, როდესაც დედას მოშორდება და ხელოვნურ კვებაზე გადადის, შეიძლება, დაემართოს

ენტერიტი. ეს კუჭ-ნაწლავის ინფეციური დაგავადებაა, რომელიც ძალების თათქმის 70%-ს ემართება და თუ არ უმკურნალე, შეიძლება, დაიღუპოს. შემდეგ უკვე ცოფზე ცრიან... საერთოდ, თუ კარგად მოუვლი, ჯანმრთელი იქნება. ისე, ცოფიანი ძალებში უფრო გარეუბნებსა და ისეთ ადგილებში არიან, სადაც არ უვლიან. ახლა ნებისმიერი ძალის კერძაზე ცოფის საწინააღმდეგო აცრას იკეთებენ. ეს კი არა, ისიც გამიგია, თუთიყუშის კერძაზე გაუჰეთებიათ ცოფის საწინააღმდეგო აცრა. არადა, თუთიყუშისგან ცოფი გამორიცხულია. თავს უფრო ექიმები იზღვევენ, თორემ ასე ხშირად ამ აცრის კეთება საჭირო ნამდვილად არ არის.

— ცოფიანი ძალი როგორ უნდა ვიცნოთ?

— ცოფის ნიშნები გადმოგდებული, დორბლიანი ენა და აგრესიული თვალებია.

— ბულდოგია ზუსტად ასეთი, ბატონო ვლადიმერ.

— არა, არა, ეგ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორსაც ირბენს და ძალიან დიატვირება. ცოფის ნიშნია, აგრეოვე, სიარულისას ორინტირის დაკარგვა. ცოფიან ძალთან პირისპირ კონტაქტი ნაბდვილად არ მქონია, შორიდან დამინახავს.

— ცოფიანი შეიძლება, კატაც იყოს?

— თუ ეზოში ხშირადაა, მცირე, მაგრამ ამის შანსი არსებობს. კატა, საერთოდ, ძალიან ამტანი ცხოველია.

— შინაური ცხოველებიდნ ყველაზე საშიში და აგრესიული რომელია?

— ნებისმიერი ცხოველი საშიშია. გამიგონია, ძროხას ან ცხენსაც მოუვლავს ადამიანი. ყველა ცხოველი საფრთხილა და მასთან სწორი მოპტორი უნდა ვიცოდეთ. შეიძლება, ბატმაც კი ისე გიკბინოს, სული გაგიმნაროს.

— ძალის ლოგინში ჩანვენა და მასთან ერთად დაძინება შეიძლება?

— თუ გართულება არ გაქვს, პრობლემა არაა. ზამთარში სულ ჩემს ძალთან ერთად მძინავს.

— ბენვი რომ გადაგვეყლაბოს, საშიში არა?

— არანაირად. ძალთან წოლის გარეშე უაკეთეს გვლაბავთ.

— რომ გამბობთ, ძალს არ უნდა მოეცერო, არ გაფუჭდესო, ეს რას ნიშნავს?

— ალბათ, იმას, რომ ყველაფრის გაკეთების უფლება არ უნდა მივცეთ.

— შინაური ცხოველები ბუნებრივი მოთხოვნილების გამოყოფილ ადგილას და გამაყოფილებას როგორ უნდა მივაჩიოთ?

— ასეთი რამ გავაკეთე: ვიდრე მიეჩეოდ, მისი შარიდი დასველებულ ჩევარს ერთ ადგილას ვეღებდა, სუნით აგნებდა ხოლმე და ხედებოდა, ბუნებრივი მოთხოვნილები სად უნდა დაეცმაყოფილებინა.

— რას გვირჩევთ, როგორ ვკვებოთ ძალი?

— ძალი, ისევე როგორც კატა, მტაცებელი ცხოველია და ამიტომ ხორცი აუცილებელია. ჯიშისა და წლოვანების მიხედვით, რაღაც დაგდება, იმ დროის შეიძლება, მიკბინოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდია და გავაგდო. ყოველოვანის უნდა ეცადო, რომ ცხოველთან რაღაც საერთო გამონახო. ჩემი როტვეილერი სხვა ძალებისა და კატებისკენ, ასევე, ჩემი ფრინველებისკენაც „ინკვდა“, მაგრამ ჩავაგონე, რომ ეს არ შეიძლება.

— ძალს მართლა შეუძლია, რომ პატრიონისთვის თავი განიონა?

— კი, შეუძლია, როცა ფიქრობს, რომ პატრიონს საფრთხე ემუქრება. კატაც ერთგულია, მაგრამ სუსტია და მისგან თავგანიონას არ უნდა ელოდოთ.

— ძალების ჩეუბზე რა აზრის ხართ, შეეიძრზე რომ გაცემა და აჩეუბებენ?

— საშინელება — ასახიჩრებენ, კლავენ და ამით ფულს აკეთებენ.

— ბატონო ვლადიმერ, ძალს ინტელექტი აქვს?

— ახლა, ლექსი რომ წაუკითხო, შინაარსს ცერეკებს, მაგრამ სიტყვების ტონს მიხედვებს. სხვათა შორის,

პოლიგუდელ ტომ კრუზის სულაც არ ეტყობა, რომ ნახევარ საუკუნეს კარგა ხნის წინ გადააბიჯა – 53 წლის ტომი ზუსტად ისევე გამოიყურება, როგორც 20 წლის წინ.

ტომი 1962 წელს, აშშ-ის ქალაქ სორაკუში, დაიბადა, დედა მსახიობი იყო. მამა – ინჟინერი. მშობლები სამსახურს და, შესაბამისად, საცხოვრებელ ადგილასაც ქსირად იცვლიან. ამიტომ, მომავალ ვარსკელას 14 წლის ასაკში, აშშ-სა და კანადაში, 15 სკოლა პქონდა გამოცვლილი. ტომ კრუზი პოლივუდში პირველად 1983 წელს, ფილმ „სარისკი ბიზნესში“ გამოჩნდა. დებიუტი იღებიანი აღმოჩნდა. ორი წლის შემდეგ, კრუზი „საუკეთესო მსროლებელში“ გადაიღეს, რამაც კიდევ უფრო დიდი წარმატება მოუტანა. ტომი, რომელიც დაემდე პოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბულებელ მამაკაცად ითვლება, პირველად 1987 წელს დაქორწინდა, თუმცა მისი და მიმი როჯერსის ქორწინება სულ სამ წელს გაგრძელდა.

1990 წელს, ტომმა ხელი წიკოლ კადმანს სთხოვა. 11 წლის შემდეგ კი, „ოჯახურ ულელში“ მესამედ შეება – ქეთი პოლმსმა ქალიშვილი გაუჩინა. სხვათა შორის, ტომი ორ წაშვილებ ბავშვს – იზაბელა ჯეინსა და კონორ ენტონსაც ზრდის.

ირინა შეიძება სულიერი სიმამის დაკარგია

ვერა არ გავა, ცონბილმა რუსმა სუპერმოდელმა სოციალურ ქსელში ერთული ფოტო არ გამოაქვეყნოს. ფინქოლოგები ამბობენ, რომ ირინა დეპრესიაშია, უფრო სწორად, კრიშტიანურ რონალდუსთან განშორების ვერ ეგუება და ცდილობს, საკუთარი მომხიბულებით ფეხბურთელს თვალი ისევ „აუსვიოს“. ისე, ამბობენ, რომ ირინას რომანი მომზიბელები ბრედლი კუპერთან აქვს. ზოგი ამბობს, რომ ფოტოსურათი, რომელზეც შიშველ ირინა მკერდზე გველი „ეალერსება“, სწორედ ბრედლისთვის განკუთვნილი „სატყუარაა“, თუმცა ირინას გარემონცვა თვლის, რომ სუპერმოდელი კვლავ ფეხბურთელს მისტირის.

ასეა თუ ისე, შეიკი უნიდებურად მადისაღმძერებად გამოიყურება.

გენ აფლეკია ეპსიაცოლის გამო მჟავი დანაბრის

ბენ აფლეკთან დაახლოებულმა ადამიანმა დასავლურ მედიას სენსაციური ცნობა მიაწოდა. წყარო, რომელიც ვინაობას არ ამხელს, ირწმუნება, რომ ბენი ცოლს ჯენიფერ ლონესის გამო დაშორდა.

„აფლეკის ყოფილი ცოლი, გარნერი ქმრის ყოფილ შეყვარებულზე, ჯეი ლოზე, რომელსაც ბენი ხანდახან წითელ ხალიჩაზე ხვდებოდა და მასთან მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდა, საშინლად ეჭვანობდა. არსებობს მოსაზრება, რომ ისინი ოდესმე კლავ ერთად იქნებიან. მათ პოლივუდის რჩარდ ბარტონსა და ლიზ ტეილორს ვეძახით“, – ამბობს წყარო, რომელიც არც იმის მაღავს, რომ ჯეი ლო და ბენი ოსარის დაჯილდოვების ცერემონიაზე ერთმანეთს ეკეკლუცებოდნენ.

შეგახსენებთ: ბენი სამი შვილის მამა. 2002 წელს, პოლივუდელმა ჯენიფერს ხელი სთხოვა და დაინიშნა კიდეც, თუმცა წყვილმა ოჯახი ვერ შეემნა.

კიმ კარდაშიანის მამინაცვლის ძალური ხიბლი

არცთუ დიდი ხნის წინ, ქეითლინ ჯენერი მამაკაცი იყო და ბრიუსი ერქვა. ის მსოფლიომ ისე გაიცინ, როგორც მსოფლიო ჩემპიონი. დღეს კი, კამ კარდაშიანის 65 წლის მამინაცვალი სრულფასოვანი დიაცია, თან ასაკისთვის შეუცველებლადც იცვამს და თავს გრძელი ფეხებით ინიშნებს.

„წლები ვოცნებობდი, რომ ქალად „გადაგვეთებულიყავა“. ჩუმჩუმად ქალის ტანსაცმელსაც ვიცმევდი. ახლა კი, დასამალი ალარაცერი მაქვს“, – ამბობს ყოფილი კაცი.

სხვათა შორის, ვიდრე ქალად „გადაგვეთებოდა“, ბრიუსს ორი ცოლი ჰყავდა და ოთხის შვილის მამა იყო. ასეა თუ ისე, შეიკი უნიდებურად მადისაღმძერებად გამოიყურება.



18

№ 27
(291)

8 - 14
03.03.2015

ყოველკვირთვული გაზეთი, გამოცილებული კომიტეტი

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემი წაფლო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ“

კარინა კუსი

არა-ჩევულებრივი გვერდი



ორლანდო გლუხი 28 წლის
პრაზილიალეა მოდელეა
მოწუხა

38 წლის ბრიტანელი ორლანდო ბლუმი, რომელიც მირანდა კერისთან განქორწინების შემდეგ, უამრავ ქალს ხვდებოდა, მალიბუში ახალ მეგობარ გოგონასთან ერთად ერთობა. ბლუმის რჩეული, როგორც პაპარაცები ამბობენ, 28 წლის ბრაზილიელი მსახიობი და მოდელი ლუიზა მორალესია.

„წყვილმა მალიბუს ერთ-ერთ რესტორანში ივახშმა. ორლანდო და ლუიზა ხალხსაც არ ერიდებოდნენ და ერთმანეთს ეალერსებოდნენ“, – იუნიება და-სავლური ბუღარული მედია.

ჯეპსონის შვილები მამაზე მდიდრები არიან

პოპ-მუსიკის მეფე მაიკლ ჯექსონი, რომელიც 50 წლის ასაკში გარდაიცვალა, პრაქტიკულად, გაბრიელობული იყო. „სცენის ლეგენდას მისალოდნელმა სილარიზმუნდა, ხელი იმ 50 კონცერტის კონტრაქტზე მოეწერა, რომლის სამზადისმაც შეიწირა“, – ნერდნენ მაშინდელი ტაბლოიდები.

ჯექსონის შვილები – 18 წლის პრინცი, 17 წლის პერისი და 13 წლის ბლანკეტი კი, ვარსკვლავ მამაზე მდიდრები არიან. მაიკლის თითოეული მემკვიდრის ქონება 100 მლნ დოლარადაა შეფასებული. მომღერლის გარდაცვალების დღიდან მისმა ოჯახმა 2 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო. შესაბამსად, ვალი, რომელიც 2009 წლის მონაცემებით, ნახევრ მილიარდს შეადგენდა, სრულად გადაიხადა.

შეგახსნებზე: მაიკლ ჯექსონის გარდაცვალებიდან 6 წელი გავიდა.

შონ პენი შარლიზ ტერონზე ქალადოგბდა

შარლიზ ტერონი და შონ პენი აგვისტოში დაქორწინებას გეგმავდნენ, თუმცა ნიშნობა ჩაიშალა, რისი მიზეზიც, როგორც ამბობენ, პენის ძალადობაა.

„20 მაისს, ვენაში გამართული ერთობის დონისძიების შემდეგ, წყვილმა სერიოზულად იჩეუბა... საქმე ფიზიკურ შეურაცხყოფმდეც მივიდა... მოგვიანებით, შონმა ცველაფერში ალკოჰოლი დაადანაშაულა და შარლიზს დაბრუნება სთხოვა, თუმცა ამ უკანასკნელმა შონის ფიცხ ხასიათთან შეგუებას, განშორება ამჯობინა“, – იუნიებიან პოლივულელი მიენებები.

26 წლის შარლიზ ტერონი და 54 წლის შონ პენი ერთად წელიწანის ცხოვრობდნენ.

ბანანის ქრეპი მეჭეჭეპს აძრობს

მეცნიერთა განცხადებით, ბანანის ქერქეს სამკურნალო თვისებები აქვს. ასე, მაგალითად, ბანანის ქერქი კბილებს, თურმე, ნებისმიერ პასტაზე უკეთ ათეთრებს. ამიტომ, უმჯობესა, თუკი კბილებს პერიოდულად ბანანის ქერქის შიდა მხრიდან გაიწმენდთ.

ამასთან, ბანანის ქერქი აქრობს კოლოს ნაკბერი გამოწვეულ ქავილს. აცხრობს მცირე განაკანკებისგან ნარმოქმნილ ტკივილს.

ბანანის ქერქი მეჭეჭებთან ბრძოლაშიც დაგენბარებათ – მეჭეჭეზე ქერქის პატარა ნაჭერი დაიდეთ. სახვევი დღეზე სამჯერ გამოიცვალეთ და ერთ კვირაში მეჭეჭი გაქრება.

ბანანის ქერქი სილურჯესაც „კურნავე“. ასევე, შეუდარებელად თმის დატენიანებითივისაც – ბლენდერში დაქუცმაცებულ ქერქს დაუმატეთ მიღენდენობით ნყალი და მიღებული ნარევი დაიტანეთ თბიზე. ნახევარი საბათის შემდეგ, ჩამოიბანეთ.

ბანანის ქერქი მშრალ კანსაც არბილებს – ბლენდერში ჩასხით ნყალი, დაუმატეთ ბანანის ქერქი და ნახევარი ჩას კოვზზი სოდა. მიღებული ფაფა ნაისვით სახეზე და გაიჩერეთ 20 წუთი, შემდეგ კი, თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

არა-ჩვეულებრივი გვერდი





თომა ჩაგელიშვილის ფილმის – „ერეკლე მეორე“ გადაღება. ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ჯარცულის სიცილიათოლები

გამოიცანით
ხან არის ბერია,
ხან ფიურერია
და უყვარს ძალიან
პარფიუმერია.

დრო უგედური
უბედური დრო მოდის,
ეშმა გემართავს სოროდან,
ეპ, რა დროში უცხოვრობდით –
კაცი ქალთან ცხოვრობდა.

ამერიკა
იქ შორსაა
მკაცრი განცდა,
შავს და წითელს
ჭამენ „იკრას“,
ქალი – ქალთან,
კაცი – კაცთან,
ესეც თქვენი
ამერიკა.

პრამზადე
„უზადო“, „უზადნო“,
არა გაქეს „ზადნი“,
ვინა ხარ, ვისი ხარ,
ვინ არამზადის?

სვანური ძუღი
ერეკლე საღლიანს
გიმზერ გვარიშვილს
და კაცს ჯიგრიანს,
კაცის ნამუსა
სიყვარულს უდრის,
ნამუსის ქუდი
ხომ გაგიგია? –
აა, ესაა
სვანური ქუდი!

გაშლილი დროშა
მწუხარება ერევა შინ,
თავს კარგად გრძნობს ერევანში,
დადის მუდამ გაშლილ დროშით
კიევში და ვაშინგტონში.



თბილისის
პირველი
კლინიკური
საავადმყოფოს
(ყოფილი „არამანის“)
მიმღები –
„ვერჯინსი“

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024



მთავარი რედაქტორი: ვენესუელ ჩარპებიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქტორო კოლეგია:
ქადაგი ჩარპებიანი, გარე გარებიანი, გარე გარებიანი,
გარე გარებიანი, გარე გარებიანი, გარე გარებიანი,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათა გოგიაშვილი, ნათა ვერძეული,
ნათა ლეგანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზითი
რეიმარინებულია
რეიმარინებული
პეტრის
(საგადასახალი
ინსპექტორი) მიერ,
რეიმარინებული №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulosityva@gmail.com
გაზითი მომიზადების თავისუფალი აკადემია